წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 10 სექტემბერი 1915 წ. № 89

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.


## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს თავადაზნაურთ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზედ **ამ წლის 14 სექტემბერს 12 საათზედ დღისით,** დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, ორის წარმომადგენლის ასარჩევად, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწ. საბჭოს წევრთა არჩევნებში თავადაზნაურთა საზოგადოებათაგან

12 ენკენისთვიდან იხსნება

## საქსოვის ქალთა სკოლა,

სადაც შეასწავლიან ყოველგვარ ფართლეულის (მატერიის) ქსოვას. კურსი წლიურია. თხოვნათა მიღება შეიძლება 20 ენკენისთვემდის სკოლის კანცელარიაში, მისამართი: ვერის დაღმართი, № 29. (8—1)

## მეხილეთა ამხანაგობა „ქ ა რ თ ლ ი“

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამხანაგობის სავაჭრო სახლში **(ძველი სემინარია, პუშკინის ბაღის პირდაპირ),** იყიდება სხვა და სხვა ხილი უმაღლესი ხარისხისა. **სამკურნალო ყურძენი „შასლა როზ“** და „შასლა დორე“, ვაშლი, მსხალი და სხ.

## პირველხარისხოვანი სასადილო „კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## იძლევა ქირით ოთახი

მაღალი, ფართე და სინათლიანი ოთახი უკუხნოთ, წყალი ზედ აივანზედ. ვერა, ანანურის შესახვევი № 7. (3—2)

## ახალი სკოლა პანსიონით

**გიმნაზიის პროგრამით**

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1 საათამდე. მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—8

## მეხილეთა ამხანაგობის „ქართლის“

საგანგებო საზოგადო კრებაა დანიშნული **ქ. გ ო რ შ ი** 1915 წ. 14 ენკენისთვისთვის. კრების საგნები: 1) წესდების ზოგიერთ მუხლების გარჩევა, 2) მიმდინარე საკითხები თბილისის მაღაზიის და გორის ხილის საწყობის შესახებ, 3) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიისა (2—2)

## გადაწერას საწერ მანქანის

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

## მ. ვ. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის** წყალი მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

## ვკისრულობთ

გადაკეთებას, გაწმენდას და ახლად შეღებვას საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

## „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოგვეპოვება.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის

**სახელოსნო სკოლაში**

25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე

ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3.

ქ. გ ო რ შ ი

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან


# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბულგარეთი

**ოპოზიციის საქციელის გამო.**

გაზეთი „Temps“-ის მიერ სოფიაში გამართული ანკეტიდან ირკვევა, რომ ოპოზიციის პარტიების ბელადებს, როდესაც მათ ხალხს მიმართეს მოწოდებით, იმის იმედი არც კი ჰქონიათ, რომ რადოსლავოვს აიძულებდნენ მოეწვია საკანონმდებლო დაწესებულება, სადაც, როგორც ეს კარგად უწყოდა პირველმა მინისტრმა, იგი ვერ მიიღებდა ხმის უმეტესობას. ოპოზიციის ბელადებს ამით მხოლოდ ის სურდათ, რომ მთავრობაზე გავლენა მოეხდინათ და ისეთი ნაბიჯის გადადგმა აეშორებინათ მისთვის, რომელიც ბულგარეთს ხიფათის გზაზედ დააყენებდა.

(Temps)

### ს ე რ ბ ი ა

**შერიგების სულიერი განწყობილება.**

ათინიდან „Daily Tel.-ს“ატყობინებენ, ერთი სერბიელი დიპლომატის ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ სერბიაში დიდი სურვილია შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაო. სხვათა შორის ამ დიპლომატს უთქვამს: მოხარული ვარ, მმართველმა წრეებმა, რომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს. არა იმიტომ თითქოს მე მწამდეს რომ ეს გადაწყვეტილება გამოიბამდეს სწორედ იმ ნაყოფს, რომელიც სურთ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთო, არამედ იმიტომ რომ ამის შემდეგ საბუთი არ ექნებათ შეთანხმების სახელმწიფოებს გვისაყვედურონ, თითქოს ვივიწყებდეთ მათდამი ჩვენს მოვალეობას. გერმანიას კარგად ესმის ბალკანეთში გამეფებული სამხედრო აზრის და სულიერი განწყობილების მნიშვნელობა და ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობს მას შეეგუოს და იგი შეიგუოს. ის გარემოება რომ ავსტრია-გერმანიამ აცნობა სოფიას, რომ მას სწადია სტამბოლში მისაღწევად ბულგარეთი გადაიაროს არ ახალია ძველია. სხვა დროს ამგვარივე ცნობა გადასცეს მათ ბალკანეთის მეორე სახელმწიფოს იმ განზრახვით, რომ ჩაეგონებინათ თავისთვის დატეულიყო.

(Figaro)

### რ უ მ ი ნ ი ა

**იძულების ნიმუშები გერმანიის მხრივ.**

სრულიად სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, 200.000 გერმანელი ჯარისკაცი შმასოში (უნგრეთშია) მოვიდა ამ მოკლე ხანშიო. (მეორეს მხრით ამბობენ ვითომც გერმანიას ხელი აეღოს თავის გეგმაზე—სერბიითა და ბულგარეთით დაძრულიყო სტამბოლისაკენ, რადგანაც ასეთი ნაბიჯი დიდ მსხვერპლს მოითხოვს და თანაც დიდ ხიფათთან არის დაკავშირებულიო. მაგრამ ეს ცნობა, რომელიც, შეიძლება რუმინიის საზოგადო აზრის დასამშვიდებლად იყო გაშვებული, არ შეეფერება გაცემულ ბრძანებას რომ რუმინიაში მიმავალი უნგრეთის რკინის გზის ლიანდაგები დაეკეტათ და საბაჟო პრედალიდან ბროსსოში გადაეტანათ.

(Matin)

**ხორბლეულობის გაზიდვა.**

მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ბრატიანუმ გააცნო თავის კოლეგებს დიპლომატიური მოქმედება ბალკანეთში.

საბჭომ განიხილა სოფლის მეურნეობის ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც შექმნა რუმინია-უნგრეთის საზღვრით რუმინიიდან ხორბლეულობის გაზიდვის შეწყვეტამ.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დაეხმაროს მიწის მუშათ და სესხის სახით გასცეს ფულად მთელი მათი დოვლათის ღირებულების სამოცი პროცენტი. (Matin)

**ფონ ტირპიცის წაფორხილება.**

„Figaro“-ს ნიუ-იორკიდან ატყობინებენ: სჩანს ბერლინში ძალიან ცდილობენ განამტკიცონ ის აზრი, რომ გერმანია-ამერიკის დავის მოგვარება ევროპაში ზავის ჩამოგდებას ხელს შეუწყობსო. ბევრია აქ იმის საბუთი, რომ გერმანია-ამერიკის ურთიერთობის დაყვავებისთვის ხელი შეუწყვია იმ ცხარე შეტაკებას, რომელიც მომხდარა ერთის მხრით ფონ-ტირპიცსა და ველჰელმსა და ბეტმან ჰოლვეგს შორის მეორეს მხრით. თუ ვილჰელმი არა, ფონ-ტირპიცი თავისას გაიყვანდა თურმე. მაგრამ გერმანიის იმპერატორს გადაჭრით უცნობებია, რომ დღეს გერმანიისთვის მეტად საჭიროა ისე მდიდარი ქვეყნის მეგობრობა, როგორიც ამერიკაა, რადგანაც დღევანდელ ომში ფულიც ისეა საჭირო, როგორც თოფ-იარაღიო.

**საფრანგეთის ეკონომიური განწყობილება.**

საფრანგეთში დაარსდა ეგრედ წოდებული „ეროვნული უნია საფრანგეთის ნაწარმოებისა და ნახელარის გასაზიდათ“. ამ უნიის მიზანია საფრანგეთის ნაწარმოებს ბაზარი მოუპოვოს და გააბატონოს იქ, სადაც იგი დღემდე სხვა ხალხის სრულიად არ მოსჩანდა, ან კიდევ კონკურენციას ვერ უწევდა სხვა ხალხის საქონელს. ამ საზოგადოებამ შეიმუშავა დაწვრილებითი სამოქმედო პროგრამა და შეუდგა კიდეც პრაქტიკულ საქმიანობას.

(Figaro)

**უთანხმოება სამინისტროში.**

სოფიიდან იუწყებიან ფრიად სარწმუნო წყაროებიდან, მინისტრთა შორის დიდი განხეთქილებაა იმის თაობაზედ თუ რა პასუხი გასცეს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს. ერთი ბულგარელი დიპლომატის სიტყვით, ბულგარეთის სამინისტროს გავლენიან წევრს უთქვამს, სამინისტროდან გავალ თუ რომ ოთხთა შეთანხმებას ბულგარეთმა უარყოფით უპასუხაო. (Figaro).

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი.**

ამერიკელთა ახალშენი სტამბოლიდან გადის, რადგანაც ამ ქალაქში უცხოელთა სიცოცხლე საფრთხეშია ჩავარდნილიო.

**რუზველტის მანიფესტი.**

შეერთებულ შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ამერიკის ხალხს მიმართა განსაკუთრებულის მოწოდებით, რომელშიაც იგი ილაშქრებს აწინდელი პრეზიდენტის ვილსონის წინააღმდეგ. რუზველტი ამბობს, შეერთებული შტატების რესპუბლიკა ისე მოიქცა მექსიკის მიმართ, რომ თავი სასაცილოდ გაიხადა გერმანიის თვალშიო. რუზველტი ბრალსა სდებს პრეზიდენტს ვილსონს, შეერთებული შტატების ფლოტსა და ხმელეთის ჯარის დაქვეითება თქვენ გამოიწვიეთო. (Figaro).

**მარნის ბრძოლის წლის თავის აღნიშვნა.**

პარიზის დეპუტატების ერთმა ჯგუფმა ამოირჩია საგანგებო დელეგაცია, რომელმაც დაავალა ქალაქ პარიზის ქალაქის საბჭოსთან ერთად გამოარკვიონ თუ რა სახით აღნიშნონ შარშან სექტემბერში მდ. მარნაზე მომხდარ იმ დიდი ბრძოლის წლის თავი, რომელმაც პარიზი და საფრანგეთი იხსნა გერმანელ ურდოთა შემოსევისაგან.

# შტაბის დეპეშები

თბილისი, 7 სექტემბერი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის ნაპირას 5 სექტემბრის განმავლობაში სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით რუსის მზვერავებმა ოსმალები განდევნეს სოფელ ხისტასპორიდან. პასინის ველზე, ენდენკთან რუსის მზვერავები კარგად მოქმედებენ. მელიაზგერთის მიმართულებით რუსის ცხენოსანმა რაზმმა ოსმალონი გიჰფანტა ინჯალუ და რუსტემგიადუკთან და თან ხელთ იგდო საჩალვადრო ტრანსპორტი. ვანის რაიონში ანგის დასავლეთით ერთმანეთს შეეტაკნენ რუსისა და ოსმალოს რაზმები. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა

თბილისი, 8 სექტემბერი. ოფიციალი. კავკასიის შტაბისგან. საღამოს დეპეშა. 6 სექტემბერს ზღვის პირა რაიონში სროლა სწარმოებდა. მელიაზგეთის მიმართულებით სოფელ მილია ალის და ეკრეშის რაიონში ჩვენსა და ოსმალოსო მზვერავ რაზმებს შორის სროლა მოხდა. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი, 7 სექტ. ოფიციალი ცნობა უმაღლეს მთავარ შტაბიდან. რიგის რაიონში მდინარე ეკაუსთან შეტაკება ჰხდება, მოწინააღმდეგე ზარბაზნების სროლას მძაფრ ხასიათს აძლევს. მიტავიდან ჩრდილო-დასავლეთით სოფელ პლააკთან გერმანელებისაგან ააზე აშენებული ხიდი ავაფეთქეთ. რკინის გზის .... რაიონში სამხრეთ-დასავლეთით ილუკსტადან გაცხარებულ ბრძოლით შტეიდერთან ჯარმა წინანდელი თხრილები ხელთ იგდო. თხრილებში აღმოჩნდა მრავალი თოფი, პატრონა და სასროლი მასალა, რაიც ხელთ ვიგდეთ. დვინის ნაკეთებ გზაზე დვინსკიდან სამხრეთ-დასავლეთით ტბების რიგზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. სოფელ ვიმიდან ნოვო-სვენციანი-დვინსკის რკინის გზიდან უფრო აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე გამოდევნილ იქმნა. ვილის რაიონში შუა ვილის გადასასვლელთან ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ რამდენიმედ აღმოსავლეთით წაიწია. უფრო ჩრდილო-დასავლეთით ვილეიკა-მელოდეჩნოს რაიონში ბევრ ადგილას მდინარე ვილაზე გადასასვლელად ბრძოლა სწარმოებს. გერმანელებთან პირის-პირ ბრძოლაში ჩვენი ჯარი დიდს სამხედრო ღირსებას იჩენს და მეტად მშვიდად და რწმენით მოქმედობს, თუნდაც უკიდურეს მდგომარეობაშიც იყოს ჩავარდნილი. ბინიაკონი-ლიდას რკინის გზის რაიონში და შარის აღმოსავლეთ ნაპირზე შესამჩნევი არა მომხდარა-რა. კოველ-რასნის (თუ სარნის ?) რკინის გზის რაიონში სტოხოდთან ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე ჩერსკიდან ხიშტებით გამოდევნა და ბევრიც დახოცა. როჟიცეს რაიონში ლუცკიდან ჩრდილოეთით ჩვენმა ცხენოსანმა განდევნა ავსტრიელების ცხენოსანნი და 4 ვერსი უკან სდია, ბევრი აჩეხა და 200-ზე მეტი ტყვედ წამოიყვანა. ჩვენმა ცხენოსნის მეორე ნაწილმა, როდესაც შენიშნა, რომ ავსტრიელები კივერციდან და ლუცკიდან უკან იხევენო, უკან დაედევნა, შეიპყრეს 5 აფიცერი, 500 ჯარისკაცი, სურსათის დიდი ქარავანი, 10 სამზარეულო და მრავალი მემუსიკენი. როცა სტირაზე სოფელ იაროსლავიჩისთან ტყე დავიჭირეთ, ლუცკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო 2 აფიცერი და ასამდე ჯარისკაცი. სოფელ ივანიესთან მდინარე ..... (დუბნოს რაიონი) ხიშტებით ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე ხიდის მახლობელ სიმაგრიდან განდევნილ იქმნა. ქალაქ კრემენეცკის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო სოფელი საპანოვი და დუნაევი. შეპყრობილია აუარებელი ტყვე. ქ. ვიშიევციდან ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის იერიში, სოფელ ბორშოვკასა და როსტოკზე მოგერებულ იქმნა.

შენიშვნა. ავსტრიის მწერლობა სცდილობს გააბათილოს 1 სექტემბრის ცნობის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია: ამ ბოლო დროს აუარებელი ტყვე მოგვყავს მოწინააღმდეგისაო და აცხადებს, რომ პოლესიის სამხრეთ ფრონტიდან აგვისტოს ბოლო რიცხვებში მხოლოდ 70000 ტყვე იქმნა შეპყრობილიო. ეს რიცხვი კიდევ შესამჩნევად უნდა გაიზარდოს, როდესაც სხვა ადგილებში უწესრიგოდ დახევის დროს შეპყრობილნიც მიემატებიან. ბოლო დროის ცნობით ზემო სტრიის რაიონში როდესაც მოწინააღმდეგე უკან იხევს, თან ერეკება საქონელს, ასე რომ არც კვიტანციას და არც საფასურს არ იძლევა.

პეტროგრადი, 8 სექტ. ოფიციალი. დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. მუნჩთან რუსებმა ენერგიული იერიშით თხრილებიდან ამოჰყარეს გერმანელები. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ნოვო-ალექსანდროვის ფრონტზე და დრისვიატას ტბასთან ბრძოლა გრძელდება. გერმანელთა მძიმე არტილერია ამ ფრონტზე ბევრს ადგილას უშენს ზარბაზნებს, ზოგგან კიდევ მახრჩობელა ბოლითაც სარგებლობენ. ვილნოს აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. ბინიაკონიალიდას ფრონტზე და მდ. მოლჩადის რაიონში (მდ. შოსის აღმოსავლეთით) პატარ-პატარა შეტაკება მოხდა. ტრემნო-პოდგაიცეს ფრონტზე, ლუცკის აღმოსავლეთით, გერმანელები იერიშებით წამოვიდნენ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ხშირად საქმე ხიშტზე გადადიოდა. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 700 ჯარისკაცი და სამი ტყვიის მფრქვეველი. შტაბის მიერ ნაუწყებ გუშინდელ დეპეშაში სოფ. ბერეზოვკა-როსტოვთან, ვიშნის ჩრდილო-დასავლეთით, მიუხედავად რუსთა ძლიერი ტყვიისმფრქვეველთა და არტილერიის ცეცხლისა, ავსტრიელებმა მაინც მოახერხეს ამათ თხრილებამდე მოსვლა და „ურას“ ძახილით გადმოერია რუსთა სანგრებს, მაგრამ რუსებმა ხიშტით უკუაგდეს და დიდი ზარალიც მიაყენეს. შემდეგ კონტრიერიშით შეუტიეს, გვერდიდან მოუარეს და ახლა მათს თხრილებში შეიჭრნენ. ნაწილი იქვე დახოცილ იქმნა, ნაწილი კიდევ ტყვედ წამოყვანილია ათ აფიცრამდე და 600 ჯარისკაცამდე. სოფ. სლონოსთან, ტუსტეს სამხრეთ-დასავლეთით 50 ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. მდ ჯურინთან, ჩორტკოვის სამხრეთ-დასავლეთით, მტერი მდინარის მეორე ნაპირზე გადარეკეს. ტყვედ წამოყვანილია 5 ოფიცერი და 200 ჯარისკაცი.

# ერთნაირად

ამ ათი—თორმეტიოდე წლის წინად, როდესაც რუსეთს განათლების სიომ დაჰბერა და ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, პარტია თუ წოდება, გარდა მთავრობისა და მის წრე-ვიწრო ამალისა, თავისუფლებისა და განახლებისაკენ გაიცქირებოდა და სიტყვით თუ კალმით სწორედ ამ განახლებას და თავისუფლებას უკმევდა გუნდრუკს,—განაპირა ქვეყნების მკვიდრნი ძველებურად უნდონი და გულდაკოდილნი იდგნენ. მათ თვალწინ გამართული თავისუფლების ფერხული, რომელშიაც ჩაბმულიყო სიხარულით მთვრალი ვრცელი იმპერია, ერთი-ღა მოურიდებელი დავლური და ქელეხი იყო სხვისი დამარხული თავისუფლების საფლავზე და შეურაცხყოფილ უცხო ერისგანს, ამ სურათის წინაშე, გულში მწარე ნაღველი ექცეოდა.

მართლაც, არც ერთ რუსეთის პოლიტიკურ მიმდინარეობას, უკიდურეს მემარჯვენიდან, ვიდრე უკიდურეს მემარცხენამდე, თუ სახეში არ მივიღებთ „ესერთა“ პროგრამაში მკვდარ ასოებით ჩაბეჭდილ რაღაცას, საჭიროდ არ უცვნია მოეთხოვა არა—რუსი ერის ეროვნული უფლების აღდგენა, არა-რუსი ერის რუსი ერის თანასწორად გამოცხადება; არც ერთი რუსული პოლიტიკური მიმდინარეობა არ გამოსულა სხვა ერის სუვერენული უფლების მომხრედ და დამცველად! ვერც კონსერვატორი რუსეთი, ვერც ლიბერალი და ვერც რევოლიუციონური რუსეთი, რომელიც ეპატრონებოდა იმ ხანებში განახლების გზაზედ დამდგარ რუსეთს, თავისუფლების იმ პატივისცემამდე ვერ მივიდა, რომ აშკარად და გაბედულად დაეგმო სხვა ერთა თავისუფლების აბუჩად აგდება

და არ წამოაყენა პრინციპი, რომ განახლებულ რუსეთში სხვა ერსაც მინიჭებოდა უფლება თავისუფალი ამოსუნთქვისა, და ეროვნული შემოქმედებით ნიჭის გაშლისა. უცხო და გაუგებარი აღმოჩნდა ეს იდეა და ეს გრძნობა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის.

ვერც რევოლიუციის ხანამ, ვერც, მით უმეტეს, რეაქციისამ და ვერც მის შემდგომმა ხანამ ამ მხრივ ვერავითარი ცვლილება ვერ შეიტანეს რუსეთის პოლიტიკურ შეგნებაში. რუსული არსება ამ ფორმათა ცვლილების პროცესში დარჩა უცვლელი და ერთი და იმავე „დერჟიმორდული“.

დღეს გარეშე პირობებმა კერძო-კერძოდ წამოაყენეს რუსეთის საზღვრებში მოქცეული ერების ეროვნულად გაუფლებიანების საკითხი. პოლონეთი, რომელიც ომის ლოღიკის ძალით ჯერ გერმანელთა ხელშია, პირველი გახდა ამ ბედნიერ მილოცვის საგნად.

ჯერ მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, რუსეთის ჯარის ყოფილმა უმაღლესმა მთავარსარდალმა, ომის დაწყების ხანებში პოლონეთს გულში ჩაუკვესა იმედი ეროვნული უფლების მინიჭებისა. ამ დღიდან ერთ წლის თავზე, სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომაზედ, უმაღლესი სურვილის ნებისაებრ, პრემიერ მინისტრმა პოლონეთს პოლიტიკური ავტონომია დაულოცა. სხვა მხრივ გულდამწვარ და კაცით-კაცამდე აყრილ პოლონელ ხალხს მწარე სიამოვნებით გულს მოხვდებოდა ეგრეთი აქტი, რომელიც პირველი, უპრეცედენტო პოლიტიკური აქტია რუსეთის სახელმწიფოებრივ ქრონიკაში. სხვ ერებს, ამ ისტორიულ დღეს, მთავრობამ მხოლოდ კეთილი სურვილები და ჰაეროვანი პირის კოცნა შემოუთვალა,

სახელმწიფო სათათბირომ, რომელიც განსაკუთრებულ რთულ პირობებში იყო გაწვეული და რომელსაც ქვეყნის შინაგანი და გარეშე გასაჭირი თანაბარის სიმძიმის ტვირთად დააწვა, ჯერ ამ სესიაში გამოიჩინა ახალი შემომქმედი და გაბედული სული.

ჩვენთვის ეროვნული ნუგეშის მოტანის მხრივ რომ გავზომოთ, სათათბიროს დათხოვნა ვერც განსაკუთრებულ სინანულს და მით უმეტეს, ვერც უკმაყოფილების ტკივილებს ჩვენში ვერ აღძრავდა.

ისევე გულგრილად შევხვდით სახელ. სათათბიროს მუშაობის გაუქმებას, რანაირის გულგრილობითაც ვადევნებდით თვალყურს მის მუშაობას თავრიდის სასახლეში.

# პეტროგრადში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

IV

**სათათბიროს უკანასკნელი სხდომა.**

სათათბიროს უკანასკნელი დღე მნიშვნელოვან ფურცლად აღინიშნება რუსეთის სახალხო წარმომადგენლობის ისტორიაში.

დილის ათი საათია. თავრიდის სასახლეში დიდი მოძრაობაა.

ყოველი მხრიდან ნელნელა იკრიბებიან დეპუტატები და დუმილით ესალმებიან ერთმანეთს.

მათ სახეზე უკმაყოფილება და გრძნობა სერიოზული მდგომარეობისა ერთმანეთს გადახლართვია.

ერთ კუთხეში ჩუმად საუბრობენ ჩხეიძე და დზიუბინსკი.

მეორე კუთხეში ჯგუფი დეპუტატებისა კერენსკის შემოხვევია და იგიც ხელის ქნევით რაღაცას უმტკიცებს.

მათ შორის ნეკრასოვი და შჩეპკინი სჩანან.

ფრაქციათა ბელადნი როძიანკოს კაბინეტისაკენ მიეშურებიან.

იქ უხუცესთა თათბირია.

დეპუტატები მოუთმენლად მოელიან თათბირის გათავებას.

ყველას ყურადღება როძიანკოზედ არის მიქცეული, თუ როგორ მოიქცევა ყოველთვის დინჯი და აუღელვებელი თავმჯდომარე.

11 საათმა უკვე ჩამოჰკრა. ამ დროისათვის არის დანიშნული სათათბიროს სხდომა.

სჩანს გადასდებენ.

აი გამოჩნდა კერენსკი.

ყველანი მისკენ მიისწრაფვიან.

— თათბირი შესწყდა, რომ ბლოკმა მოილაპარაკოს, ამბობს იგი.

როძიანკოს დათხოვნის „უქაზი“ ჯიბეში აქვს, მაგრამ საკითხი იმაშია, რომ წაკითხულ იქმნეს მხოლოდ იგი, თუ ყველა კითხვები გაირჩეს, რომელნიც დღის წესრიგშია აღნიშნული.

სხვათა შორის დღის წესრიგში ა. ი. ჩხენკელიც არის აღნიშნული, რომელმაც აჭარის საკითხზედ უნდა ილაპარაკოს.

პროგრესისტების ნაწილს წინადადება შემოაქვთ, რომ მხოლოდ „გამოქცეულთა“ საკითხი გაირჩეს და არჩეულ იქმნან კომისიის წევრები.

შრომის ჯგუფი და ეს-დე-ები წინააღმდეგნი არიან ამისა და ითხოვენ, რომ ყველა კითხვები გაირჩეს, რადგან მათ უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ შემოტანილი, მაგალ., კანონპროექტი პოლიციის ჯარში გაწვევისა, მაგრამ ამასთანავე კერენსკი არ ჰფარავს, თუ საკითხების გარჩევა იქმნება, ისინი თავისას იტყვიან მთავრობის მოქმედების შესახებ.

თათბირი შესწყდა, რომ პროგრესიულმა ბლოკმა გადასწყვიტოს ეს კითხვა.

ბლოკი თათბირის შემდეგ იმ დასკვნამდის მივიდა, რომ წაკითხულ იქმნას მხოლოდ ერთი „უქაზი“.

უხუცესნი კვლავ სათათბიროდ ბრუნდებიან.

დმიტრიუკოვი ცხარე სიტყვას წარმოსთქვამს დღევანდელ მომენტის შესახებ, ახასიათებს მთავრობის პოლიტიკას, როგორც საშიშ და შემცდარ ნიადაგზე მდგომს და მუშების გაფიცვაზე ლაპარაკობს.

მეტის მეტი აღელვებისაგან მას გული ერთმევა და იბნიდება. საჩქაროდ იხმობენ შინგარიოვს, რომ საექიმო დახმარება აღმოუჩინოს, დმიტრიუკოვი გაჰყავთ და თათბირი გრძელდება.

კერენსკი, აღშფოთებულია იმ მოქმედებით, როგორადაც მთავრობა გაფიცულ მუშებს ეპყრობა, აღელვებული მოუთხრობს კრებას, რომ მას ცნობა მოუვიდა, თითქოს ამ დილით გაფიცულ მუშების წინააღმდეგ ჯარი გამოუყვანიათ,

კერენსკის ემხრობა ჩხეიძე.

განცხადების შემდეგ ორივენი თათბირს სტოვებენ.

ფრაქციები ცალ-ცალკე იკრიბებიან შრომის ჯგუფი და სოც. დემოკრატები ბჭობენ თუ როგორი დემონსტრაცია მოახდინონ.

ნაწილი წინადადებას იძლევა, რომ „უქაზის“ კითხვის დროს არ ადგნენ და მით შეუძლებლად გახადონ მისი წაკითხვა, ვიდრე სათითაოდ არ გაიყვანენ დეპუტატებს, მაგრამ უმეტესობას ესეთი პროტესტი სხვა და სხვა მიზეზების გამო შეუძლებლად მიაჩნიათ.

გადაწყდა რომ კითხვის დროს დემონსტრატიულად გავიდნენ დარბაზიდან.

კად.—ებიც ამაზედ შეთანხმდნენ.

უკვე 3 საათი და 40 წუთია.

დარბაზი, სადაც სხდომა უნდა მოხდეს დეპუტატებით ივსება.

ყველანი თავის ადგილზე სხედან, მხოლოდ მილიუკოვი და შინგარიოვი არა სჩანან. გარეშე საზოგადოების ადგილები ხალხით არის გაჭედილი და სულ განაბულნი ელიან თუ რა მოხდება.

მტკიცე ნაბიჯით შემოდის როძიანკო და თავის ადგილს იკავებს.

მარცხენა გვერდით პროტოპოპოვი უზის.

ვარუნ სეკრეტის ადგილი თავისუფალია.

გაისმის თავმჯდომარის ზარი და დარბაზი ყურადღებად იქცევა.

— სხდომა გახსნილია და წაკითხული იქნება მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის „უქაზი“—ამბობს იგი—ვსთხოვ დეპუტატებს ფეხზე წამოდგნენ. უკანასკნელნი დგებიან. კერენსკი და ჩხეიძე ხმაურობით მიემართებიან გასასვლელ კარებისკენ.

მათ მიყვებიან შრომის ჯგუფის და სოც. დემ. ფრაქციის წევრები.

პროტოპოპოვი „უქაზს“ კითხულობს, რომლითაც სათათბირო დათხოვნილია 1-ლ ნოემბრამდის 1915 წ.

გადიან ნაწილი კადეტებისა და პროგრესისტებისა.

კითხვის დროს შემოდიან მილიუკოვი და შინგარიოვი და თავის ადგილს იკავებენ.

ისმის სუსანოვის ხმა, რომელიც დარბაზიდან გადის:

— მოღალატენი, გამცემნი.

კითხვა გათავდა და თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს და ხელმწიფე იმპერატორისადმი „ურას“ იძახის.

მემარჯვენეჼი კარებისკენ მიისწრაფვიან. გაცხარებული შემორბის კერენსკი და ყვირის:

— გაუმარჯოს რუსეთის ხალხს.

გამარჯვება თავისუფალ რუსეთს...

ზარი თავმჯდომარისა, რომელიც ჯერ კიდევ თავის ადგილზედ სდგას, კერენსკის ხმას სწყვეტს და შეუძლებლად ხდის დეპუტატის სიტყვების გარჩევას.

მარკოვი მე-2 წინ იწევს და ხმა მაღლა ყვირის.

— გააჩუმეთ ეგ მეამბოხე...

ზარი მის ხმასაც სწყვეტს. დეპუტატები საჩქაროდ კულუარებში მიდიან.

როძიანკო ცალკე სათათბიროდ იწვევს პროგრესიულ ბლოკს და სათათბიროს წევრნიც იქით მიეშურებიან.

პეტროგრადი, 3 ენკენ.

ლ. ჯ—ძე.

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც ცნობა მოვიდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი თ-დი შჩერბატოვი ხელმწიფის სადგომში გაემგზავრა მინისტრთა ერთი ჯგუფის დავალებით, რომელიც წინააღმდეგი იყო სათათბიროს დათხოვნისა. იგი დაწვრილებით გააცნობს ხელმწიფეს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააყენა მთავრობა სათათბიროს დათხოვნამ და იმ მღელვარებასაც, რომელსაც იგი იწვევს.

ლ. ჯ.

# ახალი ამბავი

◆ **საგანგებო კრება.** გუბერნატორის ნებართვით, 14 სექტემბერს, შესდგება თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს 2 ამომრჩეველი დანარჩენ გუბერნიების ამომრჩევლებთან ერთად სახელმწიფო საბჭოს წევრების ასარჩევად პეტროგრადში.

◆ **ქართველი მხატვარი ქალი.** მოსკოვში არის ერთად ერთი მთელი რუსეთისათვის უმაღლესი სამხატვრო სკოლა, რომელსაც ყოველ წლობით დიდძალი სწავლის მსურველი აწყდება. რადგან სკოლაში ადგილი ცოტაა, მთხოვნელებს კონკურსით ღებულობენ. წელს ამ სკოლაში შემსვლელთა მსურველნი სამას კაცზე მეტი იყო. ამათში გამოცდის შემდეგ მიიღეს მხოლოდ 30 კაცი და მათ შორის ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი, რომელსაც, გიმნაზიის შემდეგ, თბილისის სამხატვრო სკოლა აქვს დამთავრებული.

◆ **დიდმა სახალხო სეირნობამ** ხარფუხის კლუბში, 8 სექტემბერს, კარგად ჩაიარა. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი კლუბის ბაღში, რომელიც საუცხოვოდ იყო მორთული. მრავალი გასართობით დიდი და პატარა—ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ. როგორც ამბობენ, შემოსავალი ას თუმანს გადააჭარბებს. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ იქნება.

◆ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ექნება, რომელსაც საგანგებო კომისია მოახსენებს ქართლში საცდელ და სანერგე ადგილების დათვალიერების შედეგს.

◆ **მამულების დათვალიერება.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საგანგებო კომისიამ სოფელ საღოლაშენში დაათვალიერა გ. ყიფშიძის ადგილი, რომელიც საზოგადოებას სჭირდება საცდელ-საჩვენებელ მინდვრისა და სანერგეს გასამართავად. ადგილი რიგიანია და გამოსადეგი აღნიშნულ საგნე-

ბისათვის, მაგრამ რამდენიმედ დაშორებულია რკინისა და სასოფლო გზებზე. კომისია თავისს შეხედულობას ამ ადგილზე დღეს მოახსენებს საზოგადოების საბჭოს. ყოველ შემთხვევისათვის კომისიამ დაავალა საზოგადოების ინსტრუქტორს დ. გორთამაშვილს,—სხვა ადგილებიც დაათვალიეროს ქართლის სოფლებში და რომელიც სამკურნალო აღმოჩნდება, იმას შეიძენს საზოგადოება.

✦ ჩვენი ახალგაზრდა ვიოლონჩელისტი **ილიკო აბაშიძე**, რომელიც ავტომობილით დაშავდა ვლადიკავკავის სამხედრო გზაზე, დღეს თავს იმდენად კარგად ჰგრძნობს, რომ საავადმყოფოდან გამოწერას აპირებს.

✦ **ბათომის სკოლა.** 8 სექტემბერს ბათომს გაემგზავრა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრიგოლ ბურჭულაძე. საზოგადოების გამგეობისაგან მას დავალებული აქვს ბათომის სკოლისათვის შესაფერი შენობა დაიქირაოს, რადგან სკოლის საკუთარ შენობაში სამხედრო ლაზარეთია მოთავსებული, და სკოლაში სწავლის დაწყების საქმე მოაწესრიგოს.

✦ **წიგნებზე ფასის მომატება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნებზე ზოგიერთ წიგნების გამყიდველებს ფასი მოუმატებიათ. ეს გარემოება ყურადღების ღირსია, მით უფრო, რომ საზოგადოების გამგეობას არც ერთ წიგნზე არ მოუმატებია ფასი და თავისს გამოცემებს ჩვეულებრივ ფასებში უთმობს გამყიდველებს.

✦ **სამრევლო სკოლებისათვის** საეპარქიო სასკოლო საბჭომ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას 1,000 მანეთის სახელმძღვანელო წიგნები შეუკვეთა. ამ სახელმძღვანელოების უმრავლესობას შეადგენს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", „ბუნების კარი" და „რუსსკოე სლოვო".

✦ **წარმომადგენლის დანიშვნა.** 10 სექტემბერს პეტროგრადში საგანგებო თათბირი უნდა მოხდეს გადმოხვეწილთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა თავ. ვოლკონსკიმ დეპეშით სთხოვა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს, რომ ქართველ საზოგადოების მხრივ წარმომადგენელი დანიშნეთ თათბირზე დასასწრებლადო. ასეთი წარმომადგენლობა გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა მიანდო პეტროგრადის ცენტრალ ბანკის დირექტორს თავ. ვ. ს. მიქელაძეს და ამის შესახებ დეპეშით აცნობა თავ. ვოლკონსკის.

✦ **ხოლერა.** 7 და 8 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 15 და ხოლერის ნიშნებით 9 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 9 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 168 და ხოლერის ნიშნებით 10 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** 9 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 51, ქუნთრუშიანი 34, საოფლიანი 26, ხუნაგიანი 25, მუცელაიანი 4, ყვავილიანი 2 კაცი.

## ვისი ბრალია?

II

ყველამ კარგად ვიცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინტელიგენციას ხალხის ცხოვრებაში. იმ „ინტელიგენცას" კი არა, რომელიც უმრავლესობის შეხედვით იგულისხმება უსათუოდ „კოკარდით" და ევროპიულ ტანისამოსით აღჭურვილი, არამედ ამ ტერმინის საუკეთესო ხმარებით: იმ ინტელიგენციას, რომლის მოქმედება ჰქმნის საზოგადოების კეთილდღეობას, რომელიც ხელს უწყობს და ასაზრდოვებს სამშობლო მხარის მწარმოებელ ძალებს, რომელსაც ერის იდეალებს განხორციელება დაუსახავს თვის მთავარ მიზნად, რომელიც ყოველ ჟამს საზოგადოებრივ მისწრაფებათა უშწიკვლო გამომხატველია,—ერთი სიტყვით, რომლის **ინტელექტი** მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის წინსვლის და წარმატებისთვის.

უკეთუ ერს სათავეში უდგას ინტელიგენცია ზემოაღნიშნული დახასიათებით, მაშინ მის კულტურულ განვითარებას საფრთხე არ მოელის: თვისი ხალხის მუდმივი დარაჯი, იგი განუყოფლად იმყოფება მასთან და ერთგულად იზიარებს მშობელი ერის ჭირსა და ლხინს: გამსჭვალული იმ სამართლიანი აზრით, რომ თვისი აღმაღლებული და განსაკუთრებული მდგომარეობა არის ხალხის ჯაფის და უზომო ენერგიის ხარჯვის შედეგი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ხალხისადმი ერთგული მსახურებით სცდილობს დაუბრუნოს მოამაგე ერს მისი ღვაწლი. ერი ამაყობს, რომ მის წიაღსა შინა იშვა ნამდვილი მამულიშვილი, რომელსაც საერთო საქმისათვის შეუძლიან თავგამოდებული ბრძოლა...

ჭეშმარიტად ბედნიერია ის ერი!

მაგრამ ხშირად, ძლიერ ხშირად ცხოვრების სინამდვილე გვიყენებს წინ სრულიად წინააღმდეგ სურათებს: ამაგის დაფასების მაგიერ ღვიძლი შვილი სამშობლოს უმადურობას უწევს და, როს დამოუკიდებელ ცხოვრების შეძლება ენიჭება, მყისვე ივიწყებს სამშობლოსაც და მოამაგე ხალხსაც...

პირველ წერილში ჩვენ ვეცადეთ შეძლებისამებრ აღგვენიშნა ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელიც ელვის სისწრაფით მიაქანებს საინგილოს გადაგვარების უფსკრულისაკენ! ეს იყო ანორმალურად მოწყობა ჩვენში სარწმუნოებრივ საკითხისა, რის შედეგიც გამოიხატა იმ სამწუხარო მოვლენაში, რომ მკვიდრთა აზროვნება დღეს შეურყევლად ამეფებს იმ ყალბ შეხედულობას, ვითომც სარწმუნოება და ეროვნება სინონიმები იყოს.

აქ ლოღიკური აუცილებლობით ისმება მეორე საკითხი, გამოწვეული იმავე დენაციონალიზაციის მიერ. კარგი და პატიოსანი: მაშინ, როცა ყოველივე მიმართული იყო იმისაკენ, რომ გადაგვარებას ძველ ჰერეთში მჭიდროთ მოეკიდა ფეხი, ნუ თუ არ მოგვეპოვებოდა ისეთი რამ ძალა, რომელიც ცოტად თუ ბევრად ხელს შეუშლიდა ჩვენი ხალხის დაქსაქსვას? თუ სოფლის ბნელი გლეხ-კაცობა ვერ გაუმაგრდა ზვავივით მოწოლილ გარეშე მიზეზებს და შურდულივით გაექანა გადაგვარების გზისკენ, რას აკეთებდა ამ დროს ჩვენი მოწინავე საზოგადოება, ჩვენი ინტელიგენცია და ბოლოს ჩვენი ახალ-გაზდობა, სტუდენტობა, რომელსაც ასე შესტრფოდა და შეჰხაროდა ინგილო ხალხი? რა გააკეთა ჩვენმა ინტელიგენციამ ინგილოთა გონების გასავითარებლად, რა ღონე იხმარა მან, რომ ინგილოთათვის ჩაენერგა საღი ეროვნული იდეები, გაეთვითცნობიერებინა იგინი და დაემტკიცებინა უნდობთათვის, რომ ინგილონი იგივე ქართველები არიან, ხოლო უკუღმართ დროთა გავლენის გამო მოჰყვნენ სპარს-თურქთა ბრჭყალებში, რომლისგანაც აი რამოდენი ათეული წელიწადია თავი ვერ დაუხწევიათ? იქნება, მართლაც, საინგილოში არ მოიპოვებოდეს იმგვარი ადამიანი, რომელსაც შეგნებული ჰქონდეს საქმის ვითარება და ნათლად წარმოედგინოს ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელსაც განიცდის ამ ჟამად ქართველობის იდეა ჩვენში? არა, გეთაყვათ, საქმე არც ისე გახლავთ, როგორც ზოგიერთს აქვს წარმოდგენილი: განათლებულნი ინგილონი—ქალნი და ვაჟნი—ღმერთმა ამრავლოთ—ბლომად მოიპოვებიან; მათგან მომეტებული ნაწილი უმაღლეს სწავლა დამთავრებულია, მაგრამ სინიდისის ქვეშ შეგვიძლიან ვაღიაროთ, რომ ერთსაც თითი არ გაუნძრევია ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად და არ მოუწადინია ინგილოთა ჭირ-ვარამის გაგება. არ იფიქროთ, ვითომც „დამოუკიდებელი მიზეზები" ხელს უშლიდნენ ჩვენებურ ინტელიგენტებს, ხალხში თვითცნობიერების დამკვიდრებას! ამ მხრივ საინგილო წარმოადგენს, როგორც რუსები იტყვიან, „ბედნიერ გამონაკლისს"; ამოცანა უბრალოა: ხალხისა და ინტელიგენციის შორის ხიდი დიდი ხანია ჩატეხილია, ამათ არა ესმით რა ერთი მეორისა, ეს არის ორი ბანაკი, განცალკევებული, მოპირდაპირე; „ჩვენ" და „ისინი", აი რითი დახასიათდება ინტელიგენციის და ხალხის ურთიერთობა!

წყვდიადით მოფენილია ქვეყანა, ცამდის აწვდენილ უვიცობის კედელს ვერ აღწევს ცხოველ-მომცემი მზის სხივები... ქართველ მეფეთა გვირგვინის უბრწყინვალესი ზურმუხტი დღეს ტალახში ამოსვრილი გდია შარა-გზაზე და ვინც-არგინდა მას სთელავს... სდუმს ქვეყანა და ამ დუმილში ისმის ქართველ წინაპართა კვნესა! ისინი უნუგეშოდ დასტირიან საქართველოს წარსულ დიდებას... დაწიოკებულ მამულს ეცლება კუთხე-კუთხეზე და არავის ძალ-უძს ბრძანებლობით შესძახოს მუხთალ ბედს: კმარა, გეყოფა, იკმარე ტანჯვა, ნულარ უფლეთავ ამირანს გულს! „არსაიდან ხმა, არსით ძახილი..."

თავის-თავზე მინებებული დღითი-დღე გვეცლება ხელიდან მდიდარი ალაზნის გაღმა მდელო! გული სევდით გევსება, როცა საკუთარი თვალითა ხედავ, რომ ინგილოთა განათლებული ნაწილი აინუნშიაც არ იგდებს ამ უბედურებას, და, თუ ზოგიერთი მათგანი სტუდენტობის დროს „ჰანნიბალის ფიცს" სდებდა უკანასკნელ წუთამდის იშრომოს სამშობლოსათვის, დღეს—დიპლომ მიღებულს აღარ ახსოვს (ცოტა უხერხულიც არის) არც ფიცი, და არც ძმათა დაბეჩავება. საქმეს არც იმან უშველა, რომ შემთხვევით მოსულნი ჩვენში გამუდმებით უჩიჩინებდნენ ინგილოთა მოწინავე საზოგადოებას, რომ, თუ ბოროტს ეხლავე ბოლო არ მოუღეს, შემდეგ გოდება გვიანღა იქნება; აი, თითქმის ათი წელიწადია, რაც საინგილოში იღწვის პატივცემული ზ. ედილაშვილი: რა საშუალებას არ მიმართა მან ინგილოთა გათვითცნობიერებისათვის და მათი მოძმე ქართველ ხალხთან დაკავშირებისათვის, რამდენი ფუთი მელანი დახარჯა, მაგრამ არ იქნა, არავინ გამოეხმაურა მას, თითქოს ზ. ედილაშვილი თავის ნაწერებში ჩვენ—ინგილოებს—კი არ გვეხება, არამედ ვიღაც ზულუსებს!!!

მომენტი ფრიად სერიოზულია, ამიტომ არავის გვეპატიება, ეგრედ წოდებულ, ეგო-ცენტრიულ პოლიტიკის გაწევა; თუ დღემდის ჩვენს ცხოვრებას ვუქვემდებარებდით პირად განზრახვებს, ეხლა მოვალენი ვართ მთელი ჩვენი ენერგია მივაქციოთ მშობელ მიწას, რათა საერთო ეროვნულ მიზანს გამარჯვება მივცეთ! გადაგვარების გზაზე მდგომი საინგილოც მოუწოდებს თვის შვილთ, დაეხმარნენ საქართველოს ყოფილ მთლიანობის და ძლევა-მოსილობის ქვა-კუთხედს; უწინ თუ არა, ამ საშინელ დროს მაინც მოიგონონ თვისი აღმზრდელი ქვეყანა, რომ ცხოვრების აზვირთებულმა ტალღებმა არ წალეკოს მამული და მის დამახინჯებულ ნანგრევებზე დაგვიანებულად არ ვეკითხებოდეთ ერთმანეთს: ვისი ბრალია?

**რ. ინგილო.**

## რუსეთის პრესა

სათათბიროს დათხოვნის შესახებ „რუსკოე სლოვო" სწერს:

მას შემდეგ, რაც დასთმო ყველაფერი, რის დათმობაც შეიძლებოდა; მას შემდეგ, რაც კომპრომისების სამსხვერპლოზე უხვად აიტანა ზვარაკი მრავალი; მას შემდეგ, რაც მშვიდობიან მცხოვრებთ და ქვეყნის კეთილგანწყობილ ელემენტებს მოუწოდა და გარს შემოიკრიბა; მას შემდეგ, რაც 200 მილიონიანი ხალხისა და მთელი კულტუროსანი კაცობრიობის წინაშე უუსაშინელესი პასუხისმგებლობის მთის მწვერვალზე წამოსკუპდა,—ყველა ამის შემდეგ, რუსეთის პროგრესიული აზრი, კედელს დაეჯახა . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

როგორც მოსალოდნელი იყო კედელი აღიმართა ბლოკის პროგრამის ერთადერთ მიუღებელ პუნქტის—პარლამენტარიზმის—წინაშე. რეჟიმი მზად არის გაიღოს ყოველი მსხვერპლი, გარდა, რასაკვირველია, ერთისა, იმ ერთისა, რომელიც უარყოფს თვით მის არსებობას: რეჟიმი თვითმკვლელობაზე არ დაყაბულდა . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

ყრუა, როგორც კედელი, რეჟიმი, რომელზედაც ხელი ვერ აუღიათ ბიუროკრატებს. პარლამენტარიზმის შემოღება მაცდურიცაა და სახიფათოც, მაგრამ თუ ერთხელ გადაწყდა მისი მოთხოვნა მაინცდამაინც, თუ საზოგადოება იკისრებს საკუთრივ მთელ პასუხისმგებლობას, გვმართებს არა ენერგიის გაპნევა, არამედ მისი გამჭიდროვება. გვმართებს კედლის განგრევა და არა თავის მოტყუილება: საცაა მას შემოუვლითო.

* *

„რუსკია ვედმოსტი" სწერს:

. . . შესწყდა სათათბიროს მუშაობა, მისი სურვილის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც ის-ის იყო გამოარკვია სახე და ტიპი აუცილებლად და დღე-დღეზე განსახორციელებელ საზოგადო სამუშევარისა. შესწყდა სათათბიროს მუშაობა იმ დროს, როდესაც მთელმა საზოგადოებამ ერთსულ და ერთგულ საჭიროდ სცნო მისი მუშაობის გაგრძელება, იმ დროს, როდესაც თვით სათათბიროში ის-ის იყო შესდგა პარტიათა შეთანხმება, რომელიც სპობდა პარტიათა განხეთქილებას და განამტკიცებდა ქვეყნის შინაურ გაერთიანებას.

ასეთ გარემოებაში საპარლამენტო სესიის შეწყვეტა მშვიდობიანობის დროსაც კი განსაკუთრებულ მოვლენად ჩაითვლებოდა. ერთი ათად უფრო დიდია ამ მოვლენის მნიშვნელობა იმ დროს, როდესაც გარეშე მტერთან გაბმულს მძიმე პირობებში, ქვეყანას ესაჭიროება მთელი ძალღონის მოკრება და გაერთიანება. ამ მნიშვნელობის მთელს სიღრმეს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა ხანგრძლივ მუშაობის საწარმოებლად დაკავშირებული იყო ბრძოლის ველზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებთან . . . . . . . გორემიკინისა და მისი კაბინეტის კოლეგების სახით მთავრობამ, დღესდღეობით მაინც, მეტ ბარგად ჩასთვალა სათათბიროს მოშველება და თანამშრომლობა და თვით იკისრა გამარჯვების მოწყობის საქმე ამ მსოფლიო ომში, რომელზედაც ჰკიდია მთელი რუსეთის ბედ-იღბალი. ამასთან ერთად მთავრობა, რასაკვირველია, კისრულობს ყველა იმ შედეგს, რომელიც გამომდინარეობს ამ გადაწყვეტილებიდანო...

## მევენახეთა და ღვინეთა საყურადღეგოდ

ყველამ უწყის, რომ მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთი უმთავრესი დარგია. მთელი თელავისა და სიღნაღის მაზრები, თიანეთის მაზრის კარგა მოზდილი ნაწილი, მთელი შორაპნის მაზრა (გარდა ჭიათურის რაიონისა), ქუთაისის მაზრის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ბაღდადის საბოქაულო), მთელი ქვემო რაჭა და ლეჩხუმის დიდი ნაწილი მევენახეობა-მეღვინეობით ირჩენს თავს. ეხლანდელ ომიანობის დროს ღვინოს დიდი ფასი დაედო. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მთელ ამ აუარებელ მხედრობას ერთობ დიდძალი ღვინო დასჭირდებოდა და კიდევ იმ გარემოებამაც, რომ მაგარ სასმელების გაყიდვა სავსებით აიკრძალა რუსეთში და მათი მაგიერობა ღვინოს უნდა გაეწია. ღვინით ვაჭრობის დროგამოშვებით აკრძალვას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და საერთოდ ღვინის მოთხოვნილების რაოდენობა იმას სრულებითაც არ შეუმცირებია. ასე რომ მევენახეთა და ღვინის დამყენებელთათვის სულერთი იყო, მთავრობა ღვინის გაყიდვის ნებას აძლევდა თუ არა ვაჭრებს. მიუხედავად ამისა, ე. ი. ღვინის მოთხოვნილებისა და მაზედ ფასების აწევისა, ჩვენმა მევენახე-მეღვინეებმა შესაფერისად ვერ ისარგებლეს ამ მოვლენით. მიზეზი ამისა ის არის, რომ ხელად გაჩნდნენ ჩვენი დიდი ხნის ცნობილი ჩარჩები, რომლებმაც შესამჩნევად ისარგებლეს დამდგარ მომენტით: სოფლელებისაგან ისინი დიდის დამადლებით იაფად ყიდულობდნენ ღვინოს და აგეთივე დამადლებით მომხმარებლებზე ძვირად ჰყიდდნენ; ზარალი ნახეს ერთის მხრივ მწარმოებლებმა და მეორეს მხრივ მომხმარებლებმა, მათ შორის ჩამდგარმა ჩარჩებმა კი დიდი ფული მოიგეს.

ომი ჯერ კიდევ ალბად დიდხანს გასტანს და მაშასადამე ღვინის მოთხოვნილება მომავალშიაც დიდი იქნება. უნდა ვიცოდეთ, რომ ღვინის ფასები ეხლანდელთან შედარებით კიდევ ბევრად უფრო აიწევს და ეს მიტომ მოხდება, რომ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე რუსეთის სხვა კუთხეშიაც წელს ვენახები დაზიანებულია და ღვინის მოსავალი ცოტა იქნება. ამ შემთხვევით უნდა ისარგებლონ ქართველმა მევენახე-მეღვინეებმა და გაქნილ ჩარჩებს არ უნდა ჩაუვარდნენ ხელში. ჩვენ ვაწვდით ჩვენს მეღვინე-მევენახეთ თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობებს იმის შესახებ, თუ რაოდენი ღვინო მოიპოვება რუსეთის ამა თუ იმ ადგილას და როგორ ფასობს. იმედი გვაქვს ამ ცნობების მიხედვით ისინი გაითვალისწინებენ ღვინის ბაზრის მდგომარეობას რუსეთში და მომენტის შეგნებით მოეპყრობიან თავიანთ ავლა-დიდებას.

**თბილისის გუბერნიაში** ვენახებს უჭირავთ 32,485 დესეტინამდე ადგილი. წარსულ წლის მოსავლიდან დარჩენილი კიდევ მოიპოვება წითელი ღვინო 50—70 ათას ვედრომდე და თეთრი 100—150 ათას ვედრომდე. კახური ვედრო ღვინო ფასობს ამ ჟამად ექვს მანეთ ნახევრიდან რვა მანეთ მახევრამდე ჭურჭლით. ახალი მოსავალი წელს ძალიან მცირე იქნება: ჩვეულებრივ შუათანა მოსავლის 25—30%-ს არ გადააცილებს. უფრო მდაბიურად რო ვთქვათ, ზემო აღნიშნული აი რას ნიშნავს: თუ ერთი დღიური ვენახი, სიტყვაზე, 100 ჩაფ ღვინოს იძლეოდა წინად, წელს 30 ჩაფზე მეტს აღარ მისცემს პატრონს. ღვინო იქნება ზოგან ცუდისა და ზოგან შუათანა ხარისხისა.

მიუხედავად ამისა ჩარჩებს ბევრგან უკვე დაუბევებიათ ღვინოები: კახეთში 4—5 მანეთად ვედრო, ხოლო ქართლში 3—3½ მანეთად. მომავალი ახალი წლისათვის ვედრო ღვინო ეღირება სულ უკანასკნელი 9—10 მანეთი.

**ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში** ვენახებს უჭირავს 12.205 დესეტინა ადგილი. წარსულ წლის მოსავლიდან დარჩენილია ჯერ-ჯერობით წითელი და თეთრი ღვინო 500 ათას ვედრომდე. კოლონიელების ღვინო ფასობს ვედრო 3—4½ მანეთი, ხოლო ადგილობრივ მემამულეებისა 4—5 მან. ახალი მოსავალი ძალიან მცირე იქნება გუბერნიაში, რადგან საუკეთესო ვენახებიან რაიონებში ჩვეულებრივ მოსავლის 10%-ზე მეტი არ არის მოსალოდნელი.

**შავი ზღვის გუბერნიისა და ანაპის რაიონში** ვენახებს უჭირავს სულ 3.000 დესეტინა ადგილი. წარსულ წლის მოსავლიდან ძალიან ცოტა ღვინოა დარჩენილი და იმასაც არ ჰყიდიან მემამულენი. ახალი მოსავალი ცოტა იქნება, რადგან ვენახები დააზიანა გაზაფხულის რთვილმა და შემდეგ უწამლობამ. ჩვეულებრივ მოსავლის ნახევარზე მეტს არავინ მოელის. ღვინო ცუდი ხარისხის იქნება.

**ყირიმში** სულ 14.480 დესეტინა ადგილი უჭირავს ვენახებს. წარსული წლის მოსავლის ღვინო ძალიან ცოტაა და ვედრო ფასობს 4—7 მანეთი. წლევანდელი ახალი მოსავალი იქნება შუათანა და ზოგან ცოტა მეტი. ახალი მოსავლის ვედრო ღვინოს ეხლავე იბევებენ ჩარჩები 3—5½ მანეთად.

**ტავრიდის გუბერნიის** ჩრდილო მხარეს, **დნეპრის, მელიტოპოლის და ბერდნსკის** მაზრებშიაც ძალიან ცოტაა შარშანდელი ღვინო და ვედრო ფასობს 5—8 მან. ახალი მოსავალი შუათანა იქნება, ზოგან შეიძლება კარგიც დარჩეს. ახალ მოსავლის ღვინოს ეხლავე იბევებენ ჩარჩები ფუთს 3—6 მანეთამდე.

**თერგის ოლქში** ვენახებს უჭირავს 9,085 დესეტინამდე ადგილი. 100 ათას ვედრომდე წარსულ წლის ღვინო კავკავისა და მოზდოკის ვაჭრების ხელშია და ვედროს ჰყიდიან 5—6 მანეთამდე. ახალი მოსავალი ზოგან კარგი იქნება და ზოგან შუათანა. ღვინო დადგება შუათანა ხარისხისა.

**ბესარაბიაში** ვენახებს უჭირავს სულ 7,054 დესეტინა ადგილი. წარსულ წლის ღვინო ძალიან ცოტაა, ხოლო მოთხოვნილება-კი დიდი. ამის გამო ზოგან, მაგალითად იზმაილოვის მაზრაში, ღვინის ფალსიფიკაციამაც (ყალბი ღვინო) იჩინა თავი. თუ სადმე მოიპოვება, ვედრო ღვინო ფასობს 4—8 მანეთი. ახალი მოსავალი შუათანა იქნება.

ჩვენ აღვნუსხეთ მევენახეობის თითქმის ყველა მთავარი რაიონი. დასავლეთ საქართველოსი და ერევნის გუბერნიის შესახებ ცნობები ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ეს უქონლობა საგნის გამორკვევას არ აბრკოლებს. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ ღვინოს დიდი ფასი დაედება, რასაც აშკარად მოწმობს ყოველგვარ ცნობაზე მომეტებულად ის, რომ ჩარჩები ახალ მოსავლის ვედრო ღვინოს ეხლავე იბევებენ 3—6 მანეთამდე. საკმარისია, ყოველივე ზემო აღნიშნული ცნობა კარგად გაითვალისწინონ ჩვენმა სოფლებმა და ჩარჩების მსხვერპლი აღარ გახდებიან.

**ლ. ლევანიძე.**

## რუსეთის ცხოვრება

**მუშების მიმართვა.**

პუტილოვის ქარხნიდან სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს მუშების დეპუტაცია წარუდგა და მოახსენა რომ შესამჩნევი რიცხვი მუშებისა პოლიციამ შეიპყრო და სხვათა შორის შეიპყრო ის მუშაც, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ესაუბრა, როდესაც იგი პუტილოვის ქარხანაში მობრძანდაო. მუშები სთხრვდნენ თავმჯდომარეს, რათა მან უშუამდგომლოს სადაც ჯერ არს და მუშები გაანთავისუფლებინოს. თავმჯდომარე პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს შეეკითხა, რად შეიპყარით ის მუშაც რომელიც სახელმწიფო სათათბიროს თავ-

მჯდომარეს ესაუბრაო. დირექტორი გაოცებაში მოსულიყო და აღუთქვა, რომ განკარგულებას მოვახდენ მის განსათავისუფლებლადაო.

**მოწოდება.**

მოსკოვის ქალაქის თავი აღნიშნავს დღევანდელ რთულ მდგომარეობას რუსეთში და მოუწოდებს ყველა მუშებს, რომ თავი შეიკავონ, და მუშაობას მიჰყონ ხელი. მხოლოდ მეგობრული და ერთად თავმოყრილი ძალა უზრუნველ ჰყოფს რუსეთს განსაცდელისაგანაო.

—

7 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალაქთა და ერობათა კავშირების ყრილობა. ქალთა კავშირის ყრილობას თავმჯდომარეობს მოსკოვის ქალაქის თავი ჩელნიკოვი, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე. დაესწრო ოცამდე ქალაქთა წარმომადგენელი. მუშაობა დაიწყეს პოლიტიკური საკითხით. ჩელნოკის, ასროკის, ნეკრასოვის, გუჩკოვისა, შინგარევისა და სხვათა სიტყვის შემდეგ მიღებულ იქმნა ლოზუნგები: სამინისტროს განახლება და სახელმწიფო-სათათბიროს მოწვევის აუცილებლობა. რეზოლიუციის შედგენა დაევალა მთავარ კომიტეტს. განზრახულია აარჩიონ დეპუტაცია ყრილობისაგან ხელმწიფე იმპერატორისადმი გასაგზავნად. მორიგ და შეერთებულ კრებაზედ ქალაქთა და ერობათა კავშირებმა უნდა განიხილონ საკითხი გამოქცეულების შესახებ. ერობათა კავშირსაც გამოაქვს პოლიტიკური რეზოლიუცია, ქალაქთა კავშირის რეზოლიუციის მზგავსი.

# ნაკვთები

**სული, სხეული და ტანთსაცმელი.**

(მიბაძვა)

ერთ ლამაზ ქალს ვკითხე:

— რად გჭირდებათ ტანთსაცმელი?

— იმად რომ სიტიტვლე დავფარო, სხეული დავმალო!

— სხეული რად გინდათ?

— იმად რომ სული დავმალო!

— სული რაღად გჭირდებათ?

— იმად... იმად... რომ...

ლამაზმა ქალმა არ იცოდა, თუ რისთვის ჰქონდა სული.

— როგორ ატყობთ, სხეული საკმაოდ მალავს სულსა?

— აბა, რა თქმა უნდა! სრულებით საკმარისია სხეულის პატარა ნაწილის ოდნავი ნაჭერი—აი თუნდ მაგალითად ენა, რომ სრულებით დამალულ იქმნას სული!

— ტანთსაცმელიც აგრე ჰფარავს სხეულს?

— უფრო უკეთესად. საკმარისია ტანთსაცმელის მცირე ნაჭერი—აი მაგალითად „დეკოლტე“ (გულღია კაბა), რომ სრულებით დაჰფაროს სხეული.

— უკაცრავად, არ მეგონა, რომ „დეკოლტე“—თვითონ ამოჭრილი ადგილი—თუ კაბის ნაჭერი იყო!?

— არ გეგონათ, მაგრამ ეგრე კია: „დეკოლტე“ კაბის ნაჭერია, ის ამოჭრილი ადგილი კაბას რომ აკლია—სწორედ რომ ვსთქვათ კაბის ენაა!

— სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებთ: ქალი ისე ხელოვნურად არაფრით არ სცრუობს ხოლმე, როგორც ენითა და „დეკოლტეთი“.

**ვინ რით იცნობა**

ფრანგი გეტყვის:

— მიჩვენე შენი შვილები და გეტყვი ვინცა ხარ.

იტალიელი:—

— მაჩვენე შენი მეგობრები და გეტყვი ვინცა ბრძანდები.

ისპანელი:—

— მიჩვენე შენი მტრები და გეტყვი ვინა ხარ.

ინგლისელი გეტყვის:

— მიჩვენე შენი სახლი და გეტყვი ვინცა ხარ.

პორტუგალელი:

— მაჩვენე შენი საყვარლება და გეტყვი ვინა ბრძანდები.

ამერიკელი:

— მიჩვენე რომელ ბანკში გაქვს „ღია ანგარიში“ და გეტყვი ვინა ხარ.

გერმანელი გეტყვის:

— მაჩვენე შენი წიგნები და გეტყვი ვინა ხარ.

რუსი:—მიჩვენე შენი „პასპორტი“ და ხელად გეტყვი ვინცა ხარ.

სომეხი:

— მიჩვენე შენი ჯიბე-უბე და გეტყვი ვინცა ხარ.

ქართველი გეტყვის:

— მაჩვენე შენი სმა-ქეიფი და ხელად გეტყვი ვინცა ბრძანდები!

**ნინო.**

# სავალდებულო სამხედრო ბეგრის გარშემო

რამდენიმე დღის წინად ინგლისურმა გაზეთებმა გვამცნეს მოკლე შინაარსი სამხედრო მინისტრის ლოიდ ჯორჯის სიტყვისა. მას უთქვამს: პირვანდელი ჩემი აზრი, რომ ინგლისი უსათუოდ უნდა ჩარეულიყო ომში, თანდათან უფრო მტკიცდება. რაც კი მოხდა ომის დაწყებიდან დღევანდელ დღემდე ნათლად მოწმობს, რომ ომის სისტემა, რომელიც ნაკლებ ზრუნავს კაცობრიობის ცივილიზაციისა და კეთილდღეობისათვის, უნდა მოსპობილ იქმნას, თუნდაც იგი ძვირადაც დაგვიჯდეს. მე იმედი არ დამკარგვია, რომ გამარჯვება ბოლოს ოთხ მოკავშირეთა სასარგებლოდ დაგვირგვინდება. მაგრამ მოკავშირეებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ მიზანს მიაღწიონ. ყველასათვის ცხადია,—ცენტრალური სახელმწიფოები, ავსტრია და გერმანეთი ყოველ სამხარ საქმეში ჯერ კიდევ ბევრად ალგვემატებიან. მთელი პოლონეთი გერმანელების ხელშია. აგრედვე ლიტვაც. რუსეთის ციხე-სიმაგრეები, რომელთაც მტრისთვის მიუვალ სიმაგრეებად ვსთვლიდით, თითქოს ფხვიერ ალიზის შენობები ყოფილიყო, ისე ერთი მეორეზე დაემხო და გერმანელების შემოსვლას ვერ გაუძლო. გერმანელების შესეული ტალღა როდის უნდა დაბრუნდეს უკან? მაშინ, როცა მოკავშირენი ომისთვის საკმარისად მომზადებულნი იქნებიანო.

შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, ყველა მოკავშირე სახელმწიფომ თავისი გააკეთა, რომ რუსეთსაც აღარ შეეძლება რამდენსამე თვემდე გერმანეთის ჯარის ტალღა შეაჩეროსო და ამიტომ ერთად ერთი ინგლისი დარჩა, რომელმაც თავი უნდა გამოიდოსო. ამიტომ მოუწოდებს ინგლისის მცხოვრებთ რომ ენერგიულად მოჰკიდონ საქმეს ხელი და შემოღებულ იქმნას სავალდებულო სამხედრო ბეგარა.

ლოიდ-ჯორჯის სიტყვის გამო გაზეთები სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამენ.

„ტაიმსი“ სწერს: ლოიდ ჯორჯის სიტყვა მამაკაცმა და დედაკაცმა უნდა წაიკითხოს. იგი ამით მთელს ერს მოუწოდებს, იმ ერს რომელიც მოითხოვს რომ გვმწყსავდეთო.

„მორნინგ პოსტი“ სწერს: ლოიდ ჯორჯმა შეიძლება თავის გამოსვლით ისეთი ამაგი დასდო ქვეყანას, რომელი ამაგიც არც ჯარში და არც ფლოტში მყოფს არ დაუდვიაო. მარტო მან შესძლო მდგომარეობა ისე დაეხატნა, როგორც ნამდვილად არის, მხოლოდ მისი სიტყვიდან უნდა დავასკვნათ რომ იგი „საყოველთაო სამსახურისთვის“ მოუწოდებს ინგლისელებსაო.

ლოიდ-ჯორჯის მიერ ბეგრის შემოღების მომხრეობას სხვა გავლენიანი გაზეთები, როგორიც არის „ნაციონ“, „ობსერვერ“ და სხვები, ეწინააღმდეგებიან.

„დეილი ნევი“ ჩამოსთვლის მრავალ გავლენიან პირს, მათ შორის მინისტრებსაც, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სავალდებულო ბეგრის შემოღების.

სამხედრო მინისტრის კიტჩენერის აზრით, ამ ჟამად საჭიროებას არ მოითხოვს, რომ სამხედრო ბეგარა სავალდებულო გავხადოთო.

როგორც იგივე გაზეთი იტყობინება, ზოგიერთი მინისტრი მხოლოდ იმიტომ არის სავალდებულო ბეგრის მომხრე, რომ, ვინიცობაა გაფიცვა მოხდეს, მთავრობას შეეძლოს გაფიცვის დაშლა ისევე, როგორც 1910 წელს საფრანგეთში რკინის გზის გაფიცვა დაშალეს.

# ჩვენი ცხოვრება

**სოფ. მათხოჯი.** (ქვემო იმერეთი). აქ არსებობს იმერეთში საკმაოდ ცნობილი დედათა მონასტერი. ზაფხულობით აქვე ჩამოდიან სხვა და სხვა ქალაქებში გადახვეწილნი ადგილობრივი მკვიდრნი, ამ მკვიდრთა შორის გახლდით ამ ზაფხულს მეც. მონასტრის ცხოვრებიდან ბევრი რამ საყურადღებო გავიგე, მაგრამ სამწუხაროდ ყველას ეხლა ვერ მოვსთვლი, მკითხველს მიუთითებ მხოლოდ ერთს არა სასურველ მოვლენაზე.

ადგილობრივ მონასტრის მონაზვნები თავიანთ ფანატიზმით, თურმე ნუ იტყვით, საშუალო საუკუნის იეზუიტებზე და ოსმალთა მოლებზე წინ წასულან. აი როგორი მოვლენა იყო: მახლობელ სოფელში ერთ ახალგაზრდა ქალს საქმრო ჰყოლოდა, სწორედ ეს ქალი მონასტერში მოვიდა მგონი სალოცავად, მაგრამ ხსენებულ მონასტრის მონაზონმა იგი საყდარში არ შეუშვა და ამასთანავე მრავალი უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდა.

„ვინ საქმროიანი ქალი და ვინ მლოცავი, შენ რა პირით მოხველ აქ, შენ როსკიპო“ და სხვა.., საკვირველია ასეთ მონაზვნებს რად უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს მონასტრებში. საკვირველია ისიც, რომ ცოდვილ ადამიანს ლოცვის უფლება არ აქვს და საყდარში ვერ შესულა?

საჭიროა ვისიც ჯერ არს ამ უგვანო საქციელს და მონაზონთა თავგასულობას ყურადღება მიექცეს.

**ს—ა.**

# წყლის დაწმენდის ახალი საშუალება

საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე ცნობილმა პროფესორმა მაკენმა აკადემიის წევრებს გააცნო ის უპირატესობა, რომელიც აქვთ ახალ ფილტრებს წყალის დასაწმენდად. როდესაც წყალი ამ ფილტრში გადის, იგი ბლომად იძენს მჟავ-ბადს და ფილტრიდან გამოდის ამ გზით გაჟღენთილი და თანაც განიცდის სხვა მეტად სასარგებლო ცვლილებას.

# დეპეშები

**სტოკჰოლმი,** 6 სექტემბერი. მიწათმომწყობი და მიწათმომქმედ მთავარგამგეობის მიერ სტოკჰოლმში გაგზავნილი ინჟინერი ბარანოვსკი ადგილობრივ გაეცნო სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და ერთი კვირის განმავლობაში თათბირობდა შვეციის მიწათმომწყობ უწყების წარმომადგენლებთან, რომელთაც შესაძლოდ დაინახეს ბარანოვსკის წინადადების დაკმაყოფილება და რუსეთისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და საგნების მიწოდება.

**ტულონი,** 6 სექ. ჩამოვიდა რუსეთის ფინანსთა მინისტრი ბარკი.

**პარიზი,** 6 სექტ. საღამოს ოფიციალი ცნობა. ინგლისის ფლოტი ზარბაზნებს უშენდა ბელგიის სანაპიროზედ გამართულ გერმანეთის სიმაგრეებს. ფრანგების მძიმე არტილერია, ნიუპორის რაიონში გამართული, მოქმედებდა ინგლისის ფლოტთან ერთად და ზარბაზანს უშენდა გერმანელების ბატარეებს, რომლებიც ინგლისის ფლოტის საპასუხოდ ზარბაზნებს ისროდნენ. არტუას ფრონტზე გერმანელების ცეცხლი განელდა.

ფრანგების არტილერია კი განაგრძობდა მოქმედებას გერმანელთა საველე სიმაგრეთა და ბატარეების წინააღმდეგ. რუას რაიონში საარტილერიო სროლასთან ერთად ხელსაროლ ყუმბარებითაც იბრძოდენ. მიუხედავად გერმანელთა სამგზობა იერიშისა, ფრანგებმა შეინარჩუნეს საპინიელში ხიდის სიმაგრე იმ არხზე გაშენებული, რომელიც მდ. ენს მდ. მარნასთან აერთებს. შამპანში გერმანელები სუსტ პასუხს აძლევდენ ფრონტის ბატარეას, სამაგიეროდ მკაცრი ბრძოლა ასტეხეს არგონებსა და მდ. ენს შორის მდებარე სივრცეში. განსაკუთრებით გამანადგურებელი ძალა მოქმედებდა ფრონტების არტილერია მაასის მარჯვენა ნაპირზე, უფრო განსაკუთრებით აპრემონის ტყეში და კოლონის სანგართა რაიონში, ლოტარინგიაში ფლირეს ჩრდილოეთით და ვოგეზებში; ერთ დღეში ფრანგებმა ააფეთქეს გერმანელთა სამხედრო მასალის ოთხი საწყობი. სენმილთან გერმანიის ჰაეროპლანი მოპირდაპირეთა ჯვარედინ ცეცხლში გაეხვია, ამავე დროს მასზე იერიში მიიტანა ფრანგის ჰაეროპლანმა, გერმანიის ჰაეროპლანი ძირს დაეცა—გერმანელთა ბანაკში.

**რომი,** 6 სექტემბერი. განზრახული აქვთ სავონში დიდი ქარხანაააგონ, თვით-ამავე მასალების დასამზადებლად. იმუშავებს 30,000 მუშა. დამზადებულ მასალას მოკავშირეებსაც უწილადებენ.

**სტოკჰოლმი,** 6 სექტ. ბერლინიდან ცნობა მოვიდა, სახელმწიფოს სასარგებლოდ კონფისკაცია უყვეს რაც რამ რეზინა, გუტაპერჩი დ ასბესტი მოიპოვებოდა. პრუსიის მიწათ-მოქმედების მინისტრი რჩევას იძლევა შეაგროვონ რკო, წაბლი, ცაცხვის და წიფლას ნაყოფი საქონლის გამოსაკვებად და ზეთის გამოსახდელად.

**პარიზი,** 7 სექტ. რუსეთის ფინანსთა მინისტრი ბარკი ჩამოვიდა დილით. ბარკს მიეგებნენ ფინანსთა და გარეშე საქმეთა მინისტრების წარმომადგენლები.

**ათინა,** 6 სექტ. კონსტანტინეპოლიდან მოსულ ცნობით, ტალათ-ბეი ადრიანოპოლში გაემგზავრა იმ მიზნით, რომ ბოლგარეთისადმი ტერიტორიის დათმობის გამო აღელვებული საზოგადოება დაამშვიდოს.

სმირნიდან ცნობა მოვიდა, რომ ოსმალეთის მთავრობა აიდინის ვილაეტში შესაიარაღებლად მოუწოდებს ყველას 16—18 წლიდან და 52—55 წლამდის.

მოკავშირეთა ფლოტმა სრუტეში შესვლისას შეიპყრო გერმანელების დაუზიანებელი წყალქვეშა ნავი. მეზღვაურნი ტყვედ წაიყვანეს.

**ლონდონი,** 7 სექტ. ლოიდ ჯორჯმა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: მთავრობას კარგად ესმის, რომ აუცილებელია გარკვეული რამ სიტყვა უთხრას ქვეყანას სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების თაობაზედ. თუ გარემოებამ დაგვანახა რომ საჭიროა სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება, რათა ევროპას ასცდეს გერმანიის სამხედრო დესპოტიზმის გამარჯვების დღესასწაული, არა მგონია ვინმე წინ აღუდგეს იძულებითი ბეგრის შემოღებას. ხოლო თუ ასეთი ადამიანიც აღმოჩნდა იგი თანაგრძნობას ვეღარ მოიპოვებს, არც მუშები მისცემენ მას მხარსო. ეროვნული ძალების და ენერგიის უზენაესი დაჭიმვა თუ მოგვცემს მტერზე გამარჯვებას. ამიტომაც, ვალდებული ვარ მოვიმოქმედო, რაც ჩემზე დამოკიდებულია, გამარჯვების უზრუნველ საყოფელად. და თუ იმ ნელმა შფოთმა, რომელიც ჯერ ოდნავ შეინიშნება, გაგვილვიძა ხალისი ძალთა უკიდურესი მოკრეფისა, ინგლისი გამარჯვებული დარჩებაო.

**მოსკოვი,** 7 სექტ. გაიხსნა ყრილობა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის წარმომადგენლებისა და ერობათა და საერობო კავშირის რწმუნებულებისა.

სრულიად ქალაქთა კავშირის ყრილობის საგანია დაჭრილების საევაკუაციო გეგმის შეცვლა, გამოქცეულების დახმარება, საკითხი ჯარის დასურსათებისა და სასანიტარო ღონისძიებათა. საერობო კავშირის ყრილობის საგანია: ჯარის დასურსათება, გამოქცეულების დახმარების საქმის ვითარება და ახალი ლაზარეთების გახსნა ქვეყნის შუაგულში.

**პარიზი,** 8 სექტ. ფინანსთა მინისტრი ბარკი საბაჟო გადასახადთა დეპარტამენტის გამგის შატელენის, მდივან დიუშენისა და ფინანსთა სამინისტროს აგენტის პარიზში რაფაელოვიჩის თანხლებით გაემგზავრა ლონდონს. საფრანგეთის საფინანსო მინისტრი რიბო გაემგზავრება ლონდონს ერთი კვირის შემდეგ, რადგან ამ ჟამად გართულია საპარლამენტო მუშაობით. საფრანგეთის პრესა აღტაცებით შეხვდა ბარკის სიტყვებს რუსეთის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და რუსის მთავრობის და ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას ომის გაგრძელებისას საბოლოო გამარჯვებამდე. აგრედვე მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას საფინანსო და საეკონომიო დარგში რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისისა მტრის საბოლოოდ დასამარცხებლად.

**ტოკიო,** 8 სექტ. რუსეთის მიერ შეკვეთილ სამხედრო მასალის დამზადების დასაჩქარებლად გაზეთი „ძიძი“ ურჩევს მთავრობას ახალ ქარხნის დაარსებას და აგრედვე ხელის აღებას იაპონურ თოფების გაუმჯობესობის საიდუმლოდ შენახვაზე. შეუდგნენ ტოკიის თოფხანის გაფართოებას. ხსნიან ახალ სახელოსნოს იოკუსკში.

**პეტროგრადი,** 8 სექტ. ინიშნებიან: მთავარ უფროსი მოსკოვის სამხედრო ოლქისა ინფანტერიის გენერალი ოლხოვსკი—სამხედრო საბჭოს წევრად. გრენადერთა კორპუსის სარდალი არტილერის გენერალი მოროზოვსკი—მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლად.

**სტოკჰოლმი,** 7 სექტ. პრუსიაში ქორწინების გასაადვილებლად შესცვალეს კანონი, რომლის ძალით უწინ თექვსმეტი წლის ქალს მინისტრიდან უნდა მოსვლოდა ჯვარის წერის ნებართვა, ეხლა საკმარისია ადგილობრივმა მოსამართლემ დართოს ნება.

**ლონდონი.** გემი „ხორდენი“ დაიღუპა. ზედმყოფნი გადაარჩინეს.

# ღია წერილი

**ვლ. ქაშაკაშვილს.**

პირადი შეურაცყოფისათვის, უშვერი და უწმაწური სიტყვების მომართვით, სამკითხველოს შესახებ, ვითხოვ ბ-ნ ვლადიმერ ქაშაკაშვილისაგან საქვეყნო ბოდიში მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიწვევ სამედიატორო სამართალში 20 ენკენისთვისთვის. მტყუანი პირი გადიხდის ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ 30 მანეთს.

**ნინო კვირიკაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რ ინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—36)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეძველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.